საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 1 19 00336334

21/03/2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს

გაცნობებთ, რომ დაინიშნა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N1 მაჟორიტარულ (მთაწმინდის) საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები. გიგზავნით არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოცემულ სამართლებრივ აქტს, რომლის თანახმადაც, არჩევნები გაიმართება 2019 წლის 19 მაისს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქზე, სადაც ტარდება შუალედური არჩევნები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული ნორმა თქვენი საქმიანობის განხორციელებისას.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო / იურიდიული

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დავით ლომინაშვილი